# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 32. | კვირა 17 მარტი 1902 წ. | გაზეთის № 1755.


## მიეხმატკბილა გოგონას

(იხ. მე-30 №-რი სურათებიანი დამატებისა.)

V

— რა სიომ დაჰკრა დალოცვილმა! თუ ღმერთს უნდა, მზის ჩასვლამდინ მთლად ავკრეფავთ კალოს,— თქვა დათიამ და ტყავის ქუდი გადიწია უკან, შუბლი ნიავს მიუშვირა.

— შენ თუ ეგრე წამოსჯექ ხოლმე კევრის თავს და ჩიბუხს უმარჯვე, უფრო ადრეც ავკრეფთ,— წაიბუზღუნა ონისემ და გააქანა სავსე არნადი ზვინისკენ.

— შენ ეი! მისამარ ჩუმათ იყავ, თორემ ავიღებ სახრეს და იმთენს აგაყვაინებ, ვერ დასთვალო,— შეუტია ბერიკაცმა და მიუბრუნდა ცოლს:

— დახე ამ რეგვენს, როგორ თავს წავიდა ამ ბოლოს დროს!

— რად იცი, კაცო, ეგეთი ლაპარაკი? ვაჟკაცია სახელგანთქმული, განა ბალღია, რომ ცემას უქადი.

— დაჩუმდი, დედაკაცო, თორემ ვნახოთ!

— ამაყვაინებ, განა ბალღი ვარ; ვმუშაობ, თავს არა ვზოგავ, მადლიერი კი არავინ არის.

— რომ მუშაობ, შენ სახლში მუშაობ და შენ საჭმელს; ახლა მადლის ტყავს ვინღა წამოგასხამს

— ოხრად დარჩეს! ერთი კაცი ვარ, თავს ყველგან დავირჩენ,— თქვა ონისემ, დაახეთქა არნადი კალოზე და გადიარა ეზო.

— დახე ამ......— შეუკურთხა დათიამ და გაადევნა თვალი მიმავალ ბიჭს. ადგა, მოჰკიდა არნადს ხელი, დაიწყო მუშაობა. ერთ ხანს უჩუმრად შრომობდა; ბოლოს გამოეხმაურა დიაცს:

— დედაკაცო, შენ როგორა ჰფიქრობ, რამ გადარია ე ბიჭი?

— კარგად იცი, რამაც გადარია.

— მაშ თქვენ სიტყვაზე უნდა გამატაროთ რაღა?



გაზაფხული.— სურათი სემიგრადსკისა

— მე რა! გუბის ბაყაყიც რომ შემოიყვანოს, მაინც ჩემი რძალი იქნება საყვარელი. ბიჭს ის გოგო მოსწონს და ხელს რად უშლი?

— დედაკაცო, მემრე კაკლუაანთ რაღა პირით შევხედო, რომ სათავისოდ გამოელიან მა ბიჭს; რითი ვწუნობთ ან ქალსან ოჯახს?

— დასაწუნი რა აქვთ, მაგრამ ბიჭს რომ გული არ მისწევს. მართალია, კეკა უფრო ლამაზია თებრონიაზე, მაგრამ სუსტი გოგოა, ჩვენი ბიჭის შესაფერი არ არის.

— მაგას კი მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა: თხელი ქალია, ბიჭს კი, შეხე, ბულასავით დასხვილებია კისერი.

— ჰო დ ნება მიეც მეთქი, კაცო, თორემ ინანებ: ე საქმეზე ხომ გული აიცრუვა, ახლა ქალაქს აპირობს წასვლას, იქ ვიმუშავებო.

— რაო? ქალაქსა?! სახლ-კარ ვილას ინაბარასა სტოვებს? ხომ ხედავთ გავტყდი, მოვუძლურდი.

— ისე მოიქეც, რომ აქვე დააბა ე ბიჭი, თორემ, გახსოვდეს, მთლად გულს აიყრის აქაურობაზე,— მიუგო ცოლმა და განაგრძო კალოს გვა, რადგან შეატყო, რა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მისმა სიტყვამ.

— განა არა არ მეჭაშნიკებოდა, რომ მალმალ მიჰყავნდათ ბიჭი ქალაქს საჭიდაოთ: ფულს შოულობდა და ამფსონებს იჩენდა. თუ ერთი იქაურ წყალს დაეწაფა, აქეთ ველარ ვაქნევინებ პირს. მაშინ ხომ დამინიავდება მამაპაპეული ოჯახი. ან რას უნდა გახდეს ქალაქში? ჩვენი კაცი მანამ არის ღონიერი, სინამ ნიადაგზე უდგა ფეხი; თუ მიწას უმტყუნა, ამსუბუქდება, გაქსუვდება, იქნება რამე ავაზაკობასაც გადააწყდეს. ეი! დედაკაცმა თუ გაიწია, ამირანს აითრევს. სწორეთ ამის მოგონებულია ე ჯოჯოხეთური ხერხი. მეტი რა ღონეა, უნდა დავყვე,— ფიქრობდა ბერიკაცი.

— ადამიანო!— აიმაღლა ხმა,— აქვს რამე მზითევი ი ოსიყმიანთ გოგოს?



**მოლოდინი** „ჰაჯი აბრეკ“ ლერმონტოვის პოემიდან; სურათი ნახშირით დახატული ი. გოგიაშვილისა, ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

— არ ვიცი! ან რად გვინდა სხვისა რამ: ისე როგორ დავქვეითდით, ერთი გოგო ვერ შევინახოთ.

— შენახვა კი არ გაგვიჭირდება, მაგრამ ქვეყანაა: იტყვიან შეეხვეწნენ, ცალიერ-ტალიერი შემოიყვანესო.

— რას დაეძებ რას იტყვიან, თორემ ცალიერს რად გამოუშვებენ. ჯან სალი გოგოა, მხარში ამომიდგება, ოჯახის ბურჯი შეიქმნება. ჩვენი ბიჭი თურმე გაგიჟებით უყვარს და ესეც ერთი ღვთისწყალობაა.

— სწორეთ მოგაჯადოვათ ი გოგომ შენცა და შენი შვილიც!—მიუგო დათიამ და განაგრძო მუშაობა. მემრე შესდგა, დაეყრდნო არნადს და გასძახა შვილს:

— ონისე, ჰაა ონისე! რასა გდიხარ მანდ, ხელები დამაწყდა.

ონისე ზლაზვნით წამოვიდა, მაგრამ როცა შეხედა დედას, შეატყო, რომ მისდა სასურველად მოხრილიყო საქმე და დატრიალდა თავისებურად. მამამ კი ისევ ყალიონი აბოლა.

— აფსუსი არ არის ამისთანა მიწის მუშა ქალაქმა ჩაითრიოს თავის წუმპეში,—გაიფიქრა იმან და ხმა აიმაღლა:

— ბიჭო, ონისე, ი ჩვენი ჭროლა ხარი ძაან დაძაბუნდა; კბილებიც აღარ ერჩის, რომ ჩალა გაღეჭოს.

— მუხლშიაც მოწყდა. კალოში ძლივს დაათრევს ფეხებს და გუთანში როგორღა გამოდგება.

— წავალ ქალაქში და ვიყიდი.

— ძალიან გაიკვალე შენ ი ქალაქის გზა. ვინ იცის, რას შემოგატყუებენ.

— მაშ რა ვქნათ?

— რა ვქნათ და იმდღეს მითხრეს, ოსიყმიანთ კარგი მოზვერი ჰყავთო გასაყიდი. გადადი ლელვნარში და შეევაჭრე. უბრალოდ კი არ ჩააყარო ფულები.

ონისემ თავი ჩაღუნა და მუშაობას უმატა.

— რას გაჩუმებულხარ, ბიჭო? ხვალვე გადადი! კალო კი ჩაუშალე დილით, თორემ მე აღარ შემიძლიან. შუადღემდის კიდეც გადმოიყვან.

## VI

ჯერ სად იყო განთიადი, როდესაც ონისე ასულიყო ზვინზე და ძნებს ისროდა. რაჟრაჟზე ჩაშლილი იყო კალო და მემრე რა მადლიანად! ისე აეწეწა სალეწი, ვაჟკაცს სარტყლამდინ სწვდებოდა. გადააბრუნა კევრებიც და აათრია. სოფელში რომ ხმაურობა ჩამოვარდა, ონისე უკვე სალამაზოდ ირთვებოდა, კიკინებს ისწორებდა. გაუდგა სასიხარულო გზას. ჯერანივით მიხტოდა. საცა რუ დაუხვდებოდა, ჩომბახს იბჯენდა და იმოდენაზე ხტებოდა, თითქო ალგეთზე ფრინავსო. მზის ამოსვლისას კურდღელს წააწყდა, რომელიც გზის პირას ბალახსა ჰკიკნიდა. შეუჭყივლა, გამოეკიდა. განა რა საკვირველი იქნებოდა, რომ კიდეც დასწევოდა? ხომ ხედავთ, ფთები ჰქონდა ბიჭს შესხმული და ფრინავდა.

— ნეტა მარტო დამხვდეს ი გოგო, რომ სათქმელი ვუთხრა და გული ვიჯერო. ვეტყვი, მასკვლავი ხარ მეთქი ჩემი ხარიპარია; ისე მიშუქებ, როგორც ჭრაქი ბნელაში. ვაჰ, ერთი შენი ნაზუქა ლოყები ჩამაკბენჩინა! ისე შეგინახამ, გოგო ჯან, როგორც თვალის ჩინს; ისე გაგიფრთხილდები, როგორც ხარის ქედს. რა ძირს იხედები, შე დასანელებელო! შავფხის ულვაშებივით არ დაგიფენია ე წამწამი! ერთი შემომხედე და! ვინ იცის, გოგო, რეებს მოგიტან ხოლმე ქალაქიდან; სულ ქიშმიშ-ლაბლაბოთი გამოგზრდი! ოცნებობდა ონისე.

ჯერ პირველადაც არ იყო კალო ნაქცევი, როცა ონისე მიუახლოვდა ლელვნარს და არწივივით მიავლ-მოავლო თვალი. ოსიყმიანთ მთელი ოჯახობა კალოზე დაინახა, ძაღლიც კი იქ ეგდო, მხოლოდ თებრო არსადა ჩანდა.

— ალბათ შინა ფუსფუსებს,—გაიფიქრა ონისემ და გაეკრა ღობეს. გასცდა ბაღს, გაიარა სახლსა და ბაკს შუა და შედგა. გაიფიქრა:

— საჭიდაოს გასვლისას რომ მეშინოდეს ხოლმე ესე, გაულახავი არ გადავრჩებოდი.

გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და პირდაპირ თებროს ნიას კი წაადგა თავს.

ჩრდილი რომ შედგა დერეფანში, გოგო წელში გაიმართა და შეანათა ბღლვრიალა თვალები მისულს. ბიჭის დანახვაზე მთლად აიტკრიცა; თავსაფარის ყურს ხელი აიკრა, სახე აიხვია; ერთი გაულიმა თვალებით და დაიხარა, ისევ გვა დაიწყო. ონისეს ნატვრა აუსრულდა, მარტო ჩაიგდო გოგო, მაგრამ რა? ენა დაუდუნდა, ხმა ჩაუწყდა, სათქმელი ვერ უთხრა. ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეფანტ-დაენაშნენ სიტყვები, როგორც ალალის წამოქრო-ლებაზე ჩიტები. დაეყრდნო ჩომბახს და დაუწყო მზერა პირ-დალრენილმა. დახრილ გოგოს გუნდებივით ძუძუები გამობუ-



გ. აბაშაძე—გიყმოზეს როლში.
(გ. სუნდუკიანცის კომ. „დაქცეული ოჯახი“)

შტოდნენ კაბიდან და ცოცხის ყოველ გაქნევაზე ოდნავ თამ-თამებდნენ; ბეჭებიდან გადმოვარდნილი ჯამბარასავით ნაწნავი მიწას სწვდებოდა; აფუებული ფეხები აზრუმულ ჩუსტებში ვერ ეტეოდნენ, აბურთებულიყვნენ. ცოცხი ეთამაშებოდა ბუცუ-ცებს: ხან ერთს გაუქროლებდა წინ და გაჰკრავდა ტოტს, ხან მეორეს; ხან გვერდზე შემოურბენდა რომელსამე და ზედ გადაევლებოდა, თეთრწითელ კვალს გადაავლებდა. ონისემ თვალი ველარ მოსწყვიტა ცოცხის ცელქობას, აპირთავდა ვნებათა ღელვით და ნამეტნავისაგან გულისა მიეხმატკბილა გოგონას:

— შეგიჭამე ცოცხი!

ვ. ბარნოვი.

# გასართობი

მეტ სიმამაცეს და თავგანწირულებას იჩენენ ბურების ქალები. ფრანგული გაზეთის „მატენ“-ის ერთმა თანამშრომელმა ქალმა გაიც-ნო ქალბატონი რეიცი, რომლის ქმარიც ინგლისელებს ებრძვის ტრან-სვაალში. ქ-ნ რეიცმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მწერალ ფრანგ ქალზე, რომელიც ამბობს, რომ ქალ-ნი რეიცი ჯერ ახალგაზდა ქა-ლია, დიდი დარბაისელი, გამომეტყველი სახე აქვს და ჭკვიანი, ნა-თელი თვალები. მშვენიერად ლაპარაკობს ფრანგულადაო.

— რამდენიმე დღის წინად, სთქვა ფრანგის ქალმა,—ბრიუსელ-ში შევხვდი ერთს ინგლისის ოფიცერს, რომელმაც ამიხსნა, რომ ომი ტრანსვაალში მით უფრო საშიშია ინგლისელებისთვის, რომ ისინი იძულებულნი არიან ქალებსაც ეომონ, რომლებიც მათთვის ყველაზედ საშიშარი მტრები არიანო.—შეგიძლიანთ, ამიხსნათ, ჰკით-ხა ფრანგის ქალმა,—რაში მდგომარეობს ეს შიში?

— ეს სულ უბრალოა,—უპასუხა ქ-ნმა რეიცმა—ინგლისელი ოფიცერი სრულიად მართალია. ცხადი სიმართლეა, რომ ინგლისე-ლების წინაამდეგ ბრძოლა ბურის ქალების ზედგავლენის ნამდვილი შედეგია, და ომის წყალობით ქალები უფრო მეტს იტანჯებიან.

მართალია, მამაკაცების სიცოცხლე ყოველ წუთს შიშ ქვეშ არის, მაგრამ ბრძოლის შემდეგ ისინი თავისუფალნი არიან ყოველგვარ ოჯახურ მზრუნველობისაგან, რომელიც სრულიად ქალებს აწევს კი-სერზე.

თავის დღეში ვერავინ ვერ გაიგებს, როგორი გასამტერებელ ბურის ქალების მხნეობა და ჭირ-ბოროტი ამ უკანასკნელ ორ წელი-წადს. იმათი სიმამაცე ისეთი დიდია და იმდენი ტანჯვა-წვალება გა-დაიტანეს, რომ თვით ინგლისელი ქალი ქ-ნი ჰობგოუზიცკი, რო-მელმაც ძალიან კარგად იცის საქმის გარემოება, ისიც კი გაკვირვე-ბულია იმათი ვაჟკაცობით.

უმეტესობა სცდება, რომ ბურის ქალები კარგად განათლებულე-ბი არ არიანო. აღზრდა-განათლება ჩვენში ბევრად უფრო გავრცელე-ბულია, ვიდრე ხალხს ჰგონია, და ძალიან სცდებიან, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი ქალები განათლებულები არ არიან, რადგანაც ისინი მხო-ლოდ ოჯახურ მუშაობას მისდევენ და თავიანთ ფერმებზე მუშაობენ.

უბრალო კაცის ცოლებიც კი თავის შესაფერად აღზრდილ-განათლე-ბულნი არიან; ისინი სამძიმო სამუშაოზედ არა მუშაობენ, ამ სამუ-შაოსთვის იმათ ჰყავთ მოსამსახურე—ნეგრები.

მართალია, ტრანსვალში ბავშვების აღზრდა-განათლება ძალიან საძნელოა, რადგანაც ფერმები ერთი მეორეზე შორს არის და ამიტომ ძნელია ბავშვებისთვის სკოლაში სიარული.

ამის გამო ჩვენში ესეა შემოღებული:

მასწავლებელი ჩამოხდება რომელიმე ფერმაზედ და იმასთან ყოველ დღე დადიან ბავშვები მახლობელი ფერმებიდან. როდესაც მასწავლებელი თავის საგანს გაივლის სრულიად და დარწმუნე-ბულია, რომ ყველამ შეითვისა გავლილი საგანი, მაშინ ის სხვა ფერ-მაზედ გადადის, ხოლო იმის ადგას მოდის სხვა საგნის მასწავლე-ბელი, რომელიც ისევე ასწავლის ბავშვებს, როგორც პირველი და შემდეგ ისევე მიდის, როგორც ის. ამ გვარად სწავლობენ ბურების შვილები და ეს ჩვეულება შვილის-შვილებზე გადადის.

—

ეხლახან ინგლისში შეკრიბეს ცნობები იმ ხალხის შესახებ, რომელთაც უცოცხლიათ ას წელიწადზე მეტი, მთელ დედამიწის



მწყემსი დავითი.—სურათი ელისაბედ გარდნერისა.

ზურგზე. ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ გერმანიაში ასი წლის მოხუ-ცები ყოფილან 718, სერბიაში—475, ესპანიაში—401, საფრან-

გეთში—213, ინგლისში—146, ნორვეგიაში—23, შვეციაში—10, ბელგიაში -5.

მთელ ქვეყანაზედ ყველაზე უძველესი მოხუცი არის ვინმე ბრუნო კოსტრიკა, რომელიც ამ ჟამად ამერიკაში ცხოვრობს და დაბადებიდან 150 წლისაა.

ეხლახან ლონდონში გარდაიცვალა ერთი ქალი ლედი კარიუ, დაბადებიდან 103 წლისა. ეს ქალი დაბადებულა 1798 წელს, ასე რომ სამს საუკუნეში მოუსწვრია ცხოვრება.

—

ამერიკელი მეტად მოხერხებულია. რაც უნდა გასაჭირში და მოუხერხებელ მდგომარეობაში ჩავარდეს, ის მაინც არ დაიბნევა და უთუოდ დაიძვრენს თავს, უთუოდ მოიგონებს რასმეს. ამერიკელი ფოტოგრაფებიც ძალიან ხერხიანები ყოფილან.

მკითხველებმა იციან, რომ ამ ხანად ამერიკას ესტუმრა გერმანიის პრინცი ჰენრიხი. სხვათა შორის პრინცი დაესწრო თავის მამის, გერმანიის იმპერატორის გემის „მეტეორ“-ის ზღვაში ჩაშვებას. დღესასწაულზე იყვნენ პრეზიდენტი რუზველტი და ამერიკის სხვა წარჩინებული პირნი. ცერემონიის გადასაღებად მოვიდნენ, რასაკვირველია, ფოტოგრაფებიც. მაგრამ მათ ცუდი ადგილი მიუჩინეს: პრინცი, პრეზიდენტი და ყველა წარჩინებულნი ზურგშექცევით იდგნენ და ფოტოგრაფია მეტად ცუდი გამოვიდოდა. ამერიკელ ფოტოგრაფებმა მაშინვე მოისაზრეს გარემოება: სწორედ ცერემონიის დაწყებისას დაიწყეს ყვირილი „გაუმარჯოს პრეზიდენტსა“. რუზველტი მაშინვე მოტრიალდა და ღიმილით თავი დაუკრა ფოტოგრაფებს; ის მაშინვე მიხვდა ფოტოგრაფების ეშმაკობას და აღარ შეუქცია ზურგი; ყვირილზე მოტრიალდა პრინციც, რომელიც იმ დროს ყარანდაშით ხელში დეპეშას სწერდა იმპერატორისათვის; მოტრიალდნენ სხვებიც და ფოტოგრაფებს შემთხვევა მიეცათ მეტად ცოცხალი სურათი გადაეღოთ.

—

ერთმა ამერიკულმა გაზეთმა გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები ამერიკის მილიონების ცნობილ როკფელლერის შესახებ. ეს „ბედნიერი“ ადამიანი უმდიდრესი კაცია დედა-მიწის ზურგზე; მას უწოდებენ „მილიონერთა მეფეს“ და იხსენიებენ „საფინანსო უდიდებულესობად“. ამ „მეფის“ თანხა უდრის თურმე 1.250.000.000 ფრანკს, ესე იგი, დაახლოვებით ხუთას მილიონ მანათს! ამ საშინელის თანხიდან ყოველ წლიურად აქვს როკფელლერს 62.500.000 ფრანკი, ესე იგი, 25 მილიონი მანათი წლიურად!! მე და შენ, მკითხველო, რომ მოგვცა ამ კაცის მარტო ერთის დღის შემოსავალი, მაშინაც უმდიდრესნი გავხდებოდით მთელს საქართველოში... მაგრამ გარდა ამ თანხისა როკფელლერის საკუთრებას შეადგენს კიდევ: 200 დიდი გემი, 70.000 ფურგონი საქონლის საზიდავად და 3500 ვაგონი. მის განკარგულებაში იმყოფება 27.500 მსახური. მასვე ეკუთვნის უდიდესი რკინის გზა ამერიკაში და მონაწილეა სხვა გზებშიაც.

—

ქველმოქმედებაც ასეთი უნდა! ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 1901 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვა და სხვა პირთ, საქველმოქმედო მიზნით, შეუწირავთ 200 მილიონ მანეთზე მეტი. შემომწირველთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ანდრე კარნეჯის, რომელსაც 1901 წელს სახალხო განათლების გასავრცელებლად შეუწირავს 50 მილიონ მანათზე მეტი! უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობას არ გამოუქვეყნებია წვრილ-წვრილი შემოწირულება, ესე იგი 1800 მანეთზე ნაკლები (ამერიკაში 1800 მანეთზე ნაკლები წვრილი შემოწირულება ყოფილა), ასე რომ შემოწირულების რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.




უსიამოვნო შეხვედრა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Марта 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.